საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

აკადემიური საბჭოს

2017 წლის 8 მაისის

დადგენილება №2399

სტუ-ის საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს წევრობის
კანდიდატურების წარმოდგენის შესახებ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:

1. დაიწყოს საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს წევრობის კანდიდატურების წარმოდგენა

საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭო შედგება უნივერსიტეტის შესაბამისი დარგის/სპეციალობის დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პროფესორებისაგან, ასოცირებული პროფესორებისაგან, ემერიტუსებისა და აგრეთვე უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის შესაბამისი დარგის/სპეციალობის უფროსი მეცნიერი თანამშრომლებისა და მთავარი მეცნიერი თანამშრომლებისაგან. საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს შემადგენლობაში შეიძლება მოწვეულ იქნენ შესაბამისი დარგის/სპეციალობის დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხის მქონე პირები საქართველოდან და უცხოეთიდან. საბჭოს წევრობის კანდიდატებმა თანხმობა საბჭოს წევრობაზე უნდა დაადასტურონ წერილობით.

საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს წევრები შეირჩევიან სტუ-ის აკადემიური საბჭოს მიერ განსაზღვრული კრიტერიუმებისა და წესის შესაბამისად. მათ კანდიდატურებს წარმოადგენს ფაკულტეტის საბჭო, აკადემიური საბჭოს რომელიმე წევრი. გარდა ამისა, საბჭოს წევრობის მსურველმა შეიძლება პირადად დაასახელოს თავის კანდიდატურა.

2. წინამდებარე დადგენილება განთავსდეს სტუ-ის ვებგვერდზე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე ა. ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი გ. სალუქვაძე